



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

დეკემბერი  
(ტევეთი)  
1-15  
№22 (331)  
(5771)  
2010

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

სტაბილური ქვეყნების პრეზიდენტები აცხადებენ:  
**საბ ხანუქა საგეანს!**





# საქართველოს ებრაელობის ყოველდღიური როლი როგორ ვიდრესასწავლეთ ხანუქა

2 დეკემბერს სასტუმრო „მარიოტ“-ში საზეიმო ვითარებაში ჩატარდა ხანუქისადმი მიძღვნილი დღესასწაული.

„ხანუქის დღესასწაულს“ ებრაელებთან ერთად ტრადიციულად მე-7 წელია აღნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ბ-ნი მიხეილ სააკაშვილი, სადაც იგი ანთებს სანთელს. ასევე დღესასწაულზე მობრძანდნენ: საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი იცხაკ გერბერგი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლადდანიშნული ელჩი ბ-ნი თემურ იაკობაშვილი, პარლამენტის წევრები, საქართველოში არსებული ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოში გამომავალი ქართულ-ებრაული გაზეთ-ჟურნალების რედაქტორები, თბილისის ებრაული სათემო სახლის წარმომადგენლები, საქართველოში მოღვაწე ებრაელი ბიზნესმენები, ქართველი ებრაელი გამოჩენილი მოღვაწეები, ებრაული თემის წარმომადგენლები.

ხანუქის სანთლები დაანთეს საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის პრეზიდენტმა ბატონმა იცოკ მოშემ, საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა, ქონება რაფაელ მესენგისერმა, საქართველოს ებრაელთა კავშირის პრეზიდენტმა, ბატონმა ჯოზეფ ქეიმ.

## ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი იცხაკ გერბერგი:

— მივესალმები საქართველოს პრეზიდენტს, ებრაულ ორგანიზაციებს, თემის წარმომადგენლებს და სტუმრებს. თქვენი ნებართვით ხანუქის მილოცვას ბიბლიურ ენაზე წარმოვთქვამ.

ჩვენ დღეს შევიკრიბეთ აქ, რათა აღვნიშნოთ ებრაული სინათლის დღესასწაული და დავანთოთ ხანუქის სანთელი. ხანუქის დღესასწაული არის სიბნელეზე სინათლის გამარჯვების სიმბოლო და ასევე გახლავთ იმედის მომცემი სხივი ებრაელი ერისთვის მთლიანად მისი ისტორიის მანძილზე. საქართველოში უკვე რამდენიმე წლის მანძილზე აღნიშნავენ ამ დღესასწაულს ჩვენთან ერთად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, ამ ორი ერის ურთიერთდამოკიდებულებას. ეს გახლავთ ქვეყანა, რომელიც ყოველთვის უჭერდა მხარს ებრაელ ერს, აქ არასდროს ყოფილა ანტისემიტური განწყობა, როგორც ეს არაერთ ქვეყანაში გამოჟღავნებულა.

სწორედ ამიტომ მე მოხარული ვარ, რომ დღეს ხანუქის დღესასწაულს ავღნიშნავ თქვენთან ერთად აქ — თბილისში! მინდა მთელი გულით გისურვოთ ბედნიერი, ტკბილი ხანუქა!



## საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნი მიხეილ სააკაშვილის სიტყვა:

— მოვლოცავთ დღესასწაულს, ხანუქის დღესასწაულს. მოგესხენებათ ეს გახლავთ სასწაულის დღესასწაული და ჩვენ კიდევ ველოდებით არაერთ სასწაულს. 2004 წელს ისრაელის ბიზნესის დაბრუნება საქართველოში სასწაულის ტოლფასი იყო და ეს მოიტანა „ვარდების რევოლუციამ“.

ხანუქის დღესასწაულზე სიტყვით გამოსვლის დროს საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის პრეზიდენტმა — ბ-ნი იცოკ მოშემ აღნიშნა, რომ ორწლიანი მსოფლიო ეკონომიკის დაავადების შემდეგ საქართველოში კიდევ ერთი სასწაული - ერთობლივი ძალებით ყველა არსებული პრობლემის მოგვარება, რათა 2011 წელს ისრაელის ინვესტიციები გაგრძელდეს საქართველოში.

მე-7 წელიწადია საქართველოს, ამერიკის და ისრაელის პრეზიდენტები ანთებენ ხანუქის სანთლებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა თითოეული ებრაელისთვის.

მე-7 წელიწადია საქართველოს, ამერიკის და ისრაელის პრეზიდენტები ანთებენ ხანუქის სანთლებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა თითოეული ებრაელისთვის.

სურვილი მაქვს, რომ ჩვენი კავშირები არასდროს გაწყვეტეთ, ბიზნესით, ბერძნულ უფრო განვითარდეთ. მე არაერთხელ მიქეძს, ჩვენი დიდი სათვისტომოსთვის, რომელიც დღეს აქვთ დასრულებული, რომ მათი სახლი არის რთული სინათლე ისე საქართველოში და მათ უძეგლებს ებრაელები, ვინც არის საქართველოში იმპეტად მათი სახლი არის აქ. ხვ ხანუქა საქებს! გმადლობთ!

## ჩვენი თან საუბარში მართლაც უბრალოთა ბიტი ძნელის ბაბაი ბ-ნმა თამაზ ბორჯაშვილიმა თქვა:

— ეს უკვე ტრადიციად იქცა, რომ პრეზიდენტი ყოველ ხანუქის დღესასწაულზე ანთებს სანთელს. ეს დღე სასიხარულოა, რადგან ამას იზიარებს არა მხოლოდ ებრაელი ერი, არამედ თითქმის ყველა.

მოგესხენებათ, ეს არის სასწაულის დღე და მე მივულოცავ ყველა ებრაელს და არა მარტო ებრაელს, არამედ საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს, რადგან არაერთხელ აღმნიშნავს, რომ საქართველოსა და ისრაელს შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა არის უპრეცედენტო და მსოფლიოში ასეთი ანალოგი უბრალოდ არ არსებობს და მე ვისურვებდი, რომ კიდევ 26 საუკუნე გაგრძელდეს ეს ურთიერთობა და არასოდეს განწყდეს. გილოცავთ!

გრიგორიანმა ისრაელის ჰიმნით დაიწყო, ებრაული სიმღერები ასევე შეასრულეს მისი ვოკალის სტუდიის მოსწავლეებმა. ებრაულ-კულტურულ საგანმანათლებლო ფონდის ფარგლებში არსებული სხვადასხვა პროგრამის მონაწილეებმა, გრიგორიანის თეატრის კოლექტივის დახმარებით წარმოადგინეს არაჩვეულებრივად დადგმული ხანუქის დღესასწაულის ისტორია, რომელიც ებრაელი ერის ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

დარბაზში მყოფი სტუმრები აღფრთოვანებით ადევნებდნენ თვალ-ყურს მათ თვალწინ დატრიალებული ებრაელი ერის ისტორიულ ეპიზოდებს.

## საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრის მირაღიბე მ-ნი ელენე თევზორაძე:

— პირველ რიგში, მინდა ყველას მივულოცო ეს დღესასწაული. მიმაჩნია, რომ ეს სწორედ ის დღესასწაულია, რომელიც ყოველთვის იმედს აძლევს ადამიანებს, მიუხედავად მისი ტრაგიზმისა.

გავლენ საუკუნეები, შეიცვლება დრო, მაგრამ ეს დღესასწაული, ყოველთვის იქნება ისეთივე ფასეული და მნიშვნელოვანი, როგორც ახლაც.

ჩვენ გვიყვარს და განვიცდით ჩვენი მეორე სამშობლოს — ისრაელის ბედს განსაკუთრებით ახლა, როდესაც იქ მძლავრობს ხანძარი. ყველა იქ მომხდარი მოვლენა ჩვენზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს და იმედია, რომ ეს მხოლოდ დადებითი და სასიხარულო ემოციები იქნება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ებრაელი ერის ისტორიაში ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად, ხალხი არ კარგავს სიცოცხლის ხალისს, წინსვლისა და სიყვარულის სურვილს.

ძალიან კმაყოფილი დავრჩი წარმოდგენილი სანახაობით, მინდა მადლობა ვუთხრა ამ იდეის ავტორს, ებრაელი ერის ისტორიის ასეთი გულისამაჩუყებელი და თბილი გადმოცემისთვის.

## ეგრავილი კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორი მ-ნი ელენე ბერკოვიჩი:

— ძალიან მინდოდა წლევანდელი ხანუქა განსხვავებული და გამორჩეული ყოფილიყო, ამიტომ დამებადა იდეა გრიგორიანის თეატრში ასეთი თეატ-

# ხანუქის დღესასწაული გრიგორიანის თეატრში

5 დეკემბერს ა. გრიგორიანის თეატრში, ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის (დირექტორი ქ-ნი ელენე ბერკოვიჩი) ხელმძღვანელობით, „ჯოინთის“ მხარდაჭერით და გრიგორიანის თეატრის კოლექტივის ხელშეწყობით მოეწყო ხანუქის დღესასწაულის შესანიშნავი თეატრალიზებული წარმოდგენა. ხანუქის სანთლები დაანთეს: ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა საქართველოში ბ-ნმა იცხაკ გერბერგმა, ქონება რაფაელ მესენგისერმა, საქართველოს მთავარი რაბინის მ. შ. ავიმელეს როზენბლატმა, თბილისის „ჯოინთის“ ოფისის ხელმძღვანელმა ზურაბ დავითაშვილმა და ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორმა ქ-ნმა ელენე ბერკოვიჩმა.



თითოეულმა მათგანმა სანთლის დანთების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას და სრულიად ებრაელ ერს. ისრაელის ელჩმა საქართველოში ბ-ნმა იცხაკ გერბერგმა მილოცვასთან ერთად, მსუბარება გამოთქვა და თანაგრძნობა გამოხატა ისრაელში გამძვინვარებული ხანძრით გამოწვეულ მსხვერპლთან დაკავშირებით.

ამ ტრადიციული ცერემონიის შემდეგ, მხატვრულად დადგმული ხანუქის თეატრალიზებული დღესასწაული კონსერვატორიის პროფესორმა ვილი



რალიზებული დღესასწაული გვეჩვენებინა. დაეუკავშირდა ავთანდილ ვარსიმაშვილს, რომელსაც პირადად ვაცნობ და ვთხოვე დაგვხმარებოდა ამის განხორციელებაში. მან მოგვიჩინა რეჟისორი — ვახტანგ ნიკოლაძე, რომლის დახმარებითაც თქვენ იხილეთ დღეს ეს შესანიშნავი სანახაობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ყველაფერი, რეპეტიციები, დადგმა მხოლოდ 10 დღეში მოხერხდა, ეს საკმაოდ მოკლე დროა და მე მიხარია, რომ მონაწილეები ასეთი ენთუზიაზმით მიუდგნენ ამ საქმეს.

ძალიან მიხარია და ვამაყობ ამ ახალგაზრდებით, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საინტერესო დადგმაში.

პირადად მე კმაყოფილი ვარ ჩატარებული ღონიძიებებით. განსაკუთრებით იმის გამო, რომ ხალხს მოეწონა ძალიან და დადებითი შეფასება მივიღეთ უკვე ამის თაობაზე.

გილოცავთ ხანუქას, ბედნიერება და წარმატებები მინდა ვუსურვო ყველას.

ებრაული საზოგადოებისათვის დღესასწაულის შემდეგ „თავისუფალ თეატრში“ ნაჩვენები იქნა რიგითი სპექტაკლი „ანა ფრანკის დღიური“, რომელმაც არავინ დატოვა გულგრილი. შესანიშნავი მსახიობები, თბილი ატმოსფერო.

ეს ხანუქა ყველას მესხიერებაში განსაკუთრებული სანახაობის გამორჩეულობით დარჩება.

ლილია ხომინკო

# მოსკოვის ქართულ ებრაელთა მთავარი რაბინი აბრამ ელაშვილი თბილისში



თბილისში ხანმოკლე ვიზიტით იმყოფებოდა მოსკოვის ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი აბრამ ელაშვილი. „მენორა“ გაესაუბრა რაბინ აბრამ ელაშვილს მოსკოვის ქართველი ებრაელების ყოფაზე, ჯამაათის დღევანდელ მდგომარეობაზე.

— ბ-ო აბრამ, რამდენი ქართველი ებრაელი ცხოვრობს დღესდღეობით

**მოსკოვში?**

— ქართველი ებრაელების 2000 ოჯახადედა, დღეს ქ. მოსკოვში. ეს ცნობები პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მომლოცველთა აქტიურობაზეა დაფუძნებული. ასევე ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, ესეც გახლავთ ერთ-ერთი დამადასტურებელი წყარო იმ ციფრისა, რომელიც მე მოგახსენეთ.

— საინტერესოა მოსკოვში, რომელ სალოცავებში დადიან ქართველი ებრაელები?

— მოსკოვში გახლავთ 4-5 ცნობილი სალოცავი. ესენი არის: არხიპოვას ქუჩაზე მდებარე ძველი ბეთ ქნესეთი, სადაც ჩვენი ჯამაათის ძირითადი ნაწილი ლოცულობს; სალოცავები „მარინა რომაში“, „პალასში“, სადაც მდებარე სახლი სალოცავად აქციეს და „პოკლონაია გორაზე“. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ჩვენი ჯამაათი აქტიურად ესწრება ლოცვას, რაც პირადად მე ძალიან მახარებს.

— ზოგადად რა მდგომარეობაა ჯამაათში? რა სახის პრობლემები აქვთ, როგორ ცხოვრობენ?

— კი, რა თქმა უნდა, მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ, რა მდგომარეობაა, რა უჭირთ. რასაკვირველია, თბილისის ჯამაათთან შედარებით, მოსკოვში ქართველი ებრაელების მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. საუბარი მაქვს ცხოვრების პირობებზე. თუმცა, თავისთავად იქაც არის პრობლემები. უბრალოდ ყველაფერი ხომ შედარებითია... კრიზისმა, რომელიც არა მხოლოდ მოსკოვი, არამედ მთელი მსოფლიო მოიცვა, საკმაოდ ცუდად იმოქმედა ყველაზე, მათ შორის ჩვენს ჯამაათზეც. ღმერთის წყალობით, ასე თუ ისე ეს ადამიანები მაინც ახერხებენ

წინსვლას და უკეთესობისკენ მიისწრაფიან.

— როგორია ახალგაზრდების აქტიურობა სალოცავში? თუ ასეთი ახალგაზრდა თითო-ორი და მლოცველთა ძირითად რიცხვს მაინც ასაკოვანი ადამიანები შეადგენენ?

— მე შემძლია ვიამაყო ჩვენი ჯამაათით სწორედ ამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, ჩვენთან მართლაც ძალიან ბევრი ახალგაზრდა მლოცველია, რომლებიც საღამოობით თორის გაკვეთილებზე მოდიან, საერთოდ აქტიურად დადიან სალოცავში. ძალიან მიხარია, რომ ჯამაათი საკმაოდ შეკრული, ერთიანი გახდა. მეც ჩემი მხრიდან ყველანაირად ვცდილობ ხელი შევუწყო ამ მნიშვნელოვან პროცესს. საერთოდ ვთვლი, რომ რაბინსა და მლოცველს შორის, მით უფრო თუ ის ახალგაზრდაა, არ უნდა იყოს დისტანციური ურთიერთობა.

ადამიანს უნდა ჰქონდეს სურვილი რაბის აზრი გაუზიაროს, ჰკითხოს რჩევა, გაესაუბროს. მერმუნეთ, ეს მეტად აახლოვებს ადამიანებს. უფლის ნებით, თქვენთანაც ყველაფერი კარგად იქნება, სალოცავში სულ უფრო მეტი და მეტი ახალგაზრდა ივლის და ჯამაათი მეტად ერთიანი გახდება.

— გამადასტურებთ, კვლავ გელით თბილისში.

ლიდია ხომეპო

## ბიზნესის სამყაროში



3 ნოემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ნახევარი წლის მანძილზე უნდა შეიცვალოს კომპანია **Israels Financial** აქციონერთა შემადგენლობა.

ერთ-ერთმა მისმა თანამფლობელმა (12,9%) აშდოდელმა ბიზნესმენმა ჯეკი ბენ-ზაკენმა წარსულში ქნესეთის ექსპედიტორის, საქართველოდან გამოსული ეფრაიმ გურის თანაშემწე იყო. იგი აპირებს შესყიდვას აქციები ორი თავისი პარტნიორისგან — მილიარდერ აბრამ ნანიკაშვილისგან (23,9%) და სინგაპურის კომპანია **STC**-სგან (45%) რომლის მფლობელი შვეიცარიელი ბიზნესმენი მარკუს ვებერი გახლავთ. მისი კუთვნილი აქციების სანაცვლოდ ბენ-ზაკენი 711,7 მილიონ შეკვლს გადაიხდის. მორიგების შედეგად მის ხელთ აქციების 82,1% იქნება კონცენტრირებული, კიდევ 7,9% ყოფილ ფუნდურულთან ხაიმ რევივოსთან დარჩება და 10% — საზოგადოებრივ აქციონერებთან.

ბენ-ზაკენმა **Calcalist**-ს განუცხადა, რომ ძირითად აქციონერებს შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა კომპანიის სამომავლო სტრატეგიის

**ყველასათვის უცნობი, პატარა ფირმა 5 წელიწადში მსხვილ კომპანიად გადაიქცა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში უძრავ ქონებას მონაწილეობს. ამ დიდი საქმიანობის უკან ქართული ებრაელი მილიარდერი „ტრანსნაშობის“ მის-პრეზიდენტი და რუსეთში ისრაელის ყოფილი ულჩი დანან.**

საკითხმა. მას სურს გააგრძელოს უძრავი ქონების განხრით საქმიანობა და აქტიურად ჩაერთოს აშდოდის სანაპიროსთან ნავთობის სამძებრო სამუშაოებში.

აბრამ ნანიკაშვილი და ვებერი უპირატესობას საზღვარგარეთ წამოწყებულ ბიზნესს ანიჭებენ, განსაკუთრებით ენერგეტიკისა და წყლის გამტკნარების სფეროში. ბენ-ზაკენის სიტყვებით მსგავსი პროექტები ძალიან დიდ დანახარჯებს ითვალისწინებს და **Israels Financial Levers** არ შეუძლია ამდენის უფლება მისცეს საკუთარ თავს. „მათ აქვთ ფული, ამიტომ მე შევთავაზე გავიდნენ ცალკე“ — აღნიშნა ბენ-ზაკენმა. მან დაამატა, რომ ასე ვთქვათ, „გაყრის“ გადანყვებილება ორივე მხარის თანხმობით შედგა. „აბრამთან და მარკუსთან ურთიერთობა — შესანიშნავი მაქვს. აბრამი ჩემთვის, ისეთივეა როგორც ძმა, როგორც მამა“ — განაცხადა აშდოდელმა ბიზნესმენმა.

ჯეკი ბენ-ზაკენმა და აბრამ ნანიკაშვილმა **Israels Financial Levers** -ის აქციათა 85% 2005 წლის აგვისტოში 8 მილიონ შეკვლად შეიძინეს. შემდეგ წლინახევრის მანძილზე ეს კომპანია მინის ნაკვეთების და აშდოდში უძრავი ქონების შეძენით იყო დაკავებული. 2007 წელს ნიუ-იორკში მან ორი შემოსავლიანი შენობა (800 მილიონი დოლარი) და ჰერცლიაში საავტოო ცენტრი შეიძინა. იმავე წლის ოქტომბერში **Israels Financial Levers**-მა განაცხადა, რომ მისი შვილობილი **Macpel Industries** სტრუქტურის მეშვეობით ყაზახეთის დედაქალაქში მინის ნაკვეთის (40 მილიონი დოლარი) შეძენის შესახებ, რომელიც ნანიკაშვილის ნათესავებს

ეკუთვნოდა. 2009 წლის ივლისში სინგაპურის კომპანიამ **Sian Service Trade control Rte. Ltd (ASTC)** შეიძინა **Israels Financial Levers** -ის აქციების 45 % 342,2 მილიონ შეკვლად (შეთანხმების რეალიზაცია იმავე წლის ოქტომბერში დასრულდა). 2010 წლის თებერვალში ბენ-ზაკენმა და ნანიკაშვილმა ერთობლივად **CC International Holdings LTD** (ხაიმ ლეიბოვიჩი) კომპანიასთან მიიღეს ლიცენზია ისრაელის ტერიტორიულ წყლებში, აშდოდის რაიონში ნავთობის აღმოჩენასთან დაკავშირებით სადაზვერვო სამუშაოებზე (პროექტი „მად აშდოდ“ „შემენ“). ოქტომბერში ხელი მოეწერა შეთანხმებას ერთობლივი კომპანიის დაარსების თაობაზე, მოცემული პროექტის რეალიზაციის შესახებ. 1, 25 მილიონ დოლარად **Israels Financial Levers**-მა მიიღო მისი 25% (12,5% — ბენ-ზაკენმა; 12,5% — ნანიკაშვილმა).

2009 წელს **Israels Financial Levers**-ის მთლიანმა შემოსავალმა 34,5 მილიონი შეკელი შეადგინა. (2008წ. — 38,3 მილიონი); სუფთა წაგება — 58,7 მილიონი შეკელი (2008წ. — 104,4 მილიონი). 2010 წლის პირველ ნახევარში მთლიანი შემოსავალი 71% გაიზარდა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით; წაგებამ შეადგინა 4,3 მილიონი შეკელი (2009 წლის პირველ ნახევარში — 35 მილიონი შეკელი). 2010 წლის დასაწყისისათვის კომპანიის საბაზრო (საბირჟო) ფასმა 1,034 მილიარდი შეკელი შეადგინა.

ამგვარად, ხუთი წლის განმავლობაში **Israels Financial Levers** — თითქმის არაფუნქციონერადი სტრუქტურულიდან, უძრავი ქონების სფეროში, საერთაშორისო მსხვილ კომპანიად გადაიქცა.

მისი განვითარების მნიშვნელოვანი ბიძგი სინგაპურის **ASTC**-ის კაპიტალდაბანდება გახდა. არანაკლები ყურადღება მის მიმართ მიაქცია აუქციონერთა გადანყვებილებამ ნავთობის ბაზრის მხრივ წარმოების გაფართოებისაკენ. თუმცა, ძალიან ცოტამ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ამ პერიოდის მანძილზე საკვანძო როლი **Israels Financial Levers**-ში ყოფილ საბჭოთა კავშირიდან გამოსულებს ეკუთვნოდა, როგორც ინვესტიციების, ასევე მენეჯმენტის თვალსაზრისითაც.

**აბრამ ნანიკაშვილი**

დაიბადა 1960 წელს საქართველოში. 1970 წელს მისი ოჯახი ისრაელში ავიდა და დასახლდა ქ. აშდოდში. სამხედრო სამსახურის დასრულებისთანავე მუშაობა ბანკის კლერკად დაიწყო, შემდეგ დაზღვევის სფეროში გააგრძელა ბიზნეს-მოღვაწეობა. საწყის ეტაპზე ქნესეთის ექს-პრეზიდენტის — ბიზნესმენ ეფრაიმ გურის (ისიც საქართველოდან გამოსული) მხარდაჭერას ეყრდნობოდა.

90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მონაწილეობის მიღება დსთ-ს ქვეყნებიდან დასავლეთ ევროპაში ნავთობის ექსპორტის მონაწილეობის შეთანხმებებში. 2005 წლის ივლისში გამოცემლობა „ჰარაცემა“ განაცხადა, რომ მას მჭიდრო კავშირი აქვს რუს მილიარდერთან რომან აბრამოვიჩთან. 2005 წლის ოქტომბერში იგი შევიდა ყველაზე მდიდარ ისრაელელების ოცეულში, რომელთა ქონება არანაკლებ 3,35 მილიარდ დოლარს შეადგენდა. მოღვაწეობის ძირითადი სფერო ნავთობგაზის დარგი გახლდათ. ამჟამად **Israels Financial Levers**-ის აქციათა 23,9% მფლობელი გახლავთ. ებრაულენოვანი გამომცემლობების ცნობებზე დაყრდნობით დროის ყველაზე დიდ ნაწილს აშდოდს, ლონდონსა და მოსკოვს შორის ატარებს. მისი ოჯახი აშდოდში ცხოვრობს.

# ხესედ ელიაჰუს „დლის ცენტრის“ 10 წელი შეუსხადა



აქ მოღვაწეობა, პირველ სართულზე წარმოდგენილია ებრაულ თემატიკაზე მათ მიერ შექმნილი სხვადასხვა ნამუშევრები.

მინდა მხარდაჭერისთვის, დახმარებისთვის, უღრმესი მადლობა გადავუხადო „ჯოინთს“. ამ ეტაპზე იგი ერთადერთი დამფინანსებელია. სულ ახლახანს მათი დახმარებით ჩვენ შევიძინეთ დიდი პლაზმური ტელევიზორი, რომლის საშუალებითაც „დლის ცენტრის“ კიდევ ერთი სასიამოვნო მხარე ექნება. მისი საშუალებით ჩვენ შევქმნით ვიდეოთეკას და მეურვეებს საშუალება მიეცემათ ამ თბილ გარემოში სხვადასხვა კინოფილმით ისიამოვნონ.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „დლის ცენტრის“ პროგრამის ხელმძღვანელის ქ-ნ ელენე ხახმიგერს, რომელიც მთელი სულითა და გულით, თავისი აზრებით ამ პროგრამით ცხოვრობს, ძალიან ბევრს აკეთებს იმისთვის, რომ აქ ყველამ შესანიშნავად იგრძნოს თავი. ასევე დიდი მადლობა ელენე კორპენკოს და იური დემუროვს, რომლებიც ამ დიდი ოჯახის, რომელსაც „დლის ცენტრი“ ჰქვია აქტიური და არაჩვეულებრივი წევრები არიან. ეს ადამიანები ნამდვილად არიან თავიანთი საქმის ერთგულნი.

ერთი კვირის მანძილზე ჩვენ გვაქვს ღია კარის დღე. თქვენ შეგიძლიათ მოხმადგეთ, დაათვალიეროთ რა იქნება ხესედში. მიხარია, რომ „ხესედი“ მტკიცე და თამამი ნაბიჯით მიყვება დროს და სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობს.

## „დლის ცენტრის“ ხელმძღვანელი ქ-ნი ელენე ხახმიგერი:

— უღრმესი მადლობა დღეს აქ

მოხრანებისთვის, ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულო თარიღია. მე ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, ძალიან მიყვარს თითოეული ჯგუფი, რომელთანაც ვმუშაობ და ალბათ, რომ არა ასეთი სიყვარული, აქ არ ვიმუშაებდი, რადგან ეს საკმაოდ რთული, შეიძლება ცოტა შესამჩნევლად ძნელი, მაგრამ მერწმუნეთ, რთული სამუშაოა. თუმცა, ამავდროულად ეს გახლავთ ბედნიერება. ეს არა ჩემი, არამედ „დლის ცენტრის“ მონაწილეების სიტყვებია: „დლის ცენტრი“ ახანგრძლივებს სიცოცხლეს! და მე ბედნიერი ვარ, რომ ამაში ჩემი წვლილი შემაქვს.

## საქართველოში „ჯოინთის“ წარმომადგენლის მოადგილე ზურაბ დავითაშვილი:

— მოგილოცავთ ამ იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლას! ყოველთვის, როდესაც თქვენთან მოვდივარ განსაკუთრებულ სითბოს ვგრძნობ, მინდა გისურვოთ მზიანი ამინდი, თქვენს პროგრამას დღეს მხოლოდ 10 წელი შეუსრულდა, იგი ჯერ მხოლოდ მოზარდია, სრულწლოვანებამდე ჯერ კიდევ ბევრი დაგრჩათ. კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებებს, დიდხანს სიცოცხლეს. მოხრანდით და დაამშვენეთ ეს კლუბი, როგორც ამას დღემდე აკეთებდით!

დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა „ხესედის“ მიერ შექმნილი ვიდეო-როლის საშუალებით ენახოთ, თუ როგორ მუშაობდა ამდენი წლის მანძილზე პროგრამა „დლის ცენტრი“. ბ-ნმა რევაზ შათაშვილმა ქ-ნ ზინაიდა კრიხელს, ქ-ნ ელიზაბედ კვირკველას და ქ-ნ ზოია ჩიმაკაძეს ყვავილები და საჩუქრები გადასცა.

ლილია ხომენაო

24 ნოემბერს თბილისის ებრაულ სათემო სახლში „ხესედ ელიაჰუს“ ერთ-ერთ პროგრამას — „დლის ცენტრი“ 10 წელი შეუსრულდა. შეგახსენებთ, რომ „დლის ცენტრი“ ითვალისწინებს თავის ასაკოვან სამეურვეო პირთა პატრონაჟს, იგი ზრუნავს მათ კვებაზე, უწევს სამედიცინო დახმარებას და აკეთებს მათთვის კიდევ ძალიან ბევრ სასარგებლო საქმეს. სამეურვეო პირნი ამბობენ, რომ ყველაზე სასიხარულოდ ის დღე მიაჩნიათ, როდესაც თბილისის ებრაულ სათემო სახლის „დლის ცენტრში“ იკრიბებიან, აწყობენ კონკურსებს, გასართობ საღამოებს, ეწევიან ხელსაქმეს. მათი ნამუშევრები მრავლად არის ხესედში, აქ უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ავ-კარგს, ერთი სიტყვით, აქ ისინი ცხოვრობენ! ცხოვრობენ აქტიური და პოზიტიური ცხოვრებით, ამ ყველაფერს ასე დარწმუნებული მოგახსენებთ, რადგან საკუთარი თვალთ ვნახე ეს ადამიანები — საკმაოდ ასაკოვანი, ზოგი 80-90 წელსაც გადაცილებული, თუმცა ამავედროულად მოვლილი, საღად მოაზროვნე, ინტელიგენტი პიროვნებები, რომლებსაც ერთი დიდი ოჯახი, ერთი სიყვარული — ხესედის „დლის ცენტრი“ აერთიანებთ.

## „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორი ბ-ნი რევაზ შათაშვილი:

— ძალიან დიდი მადლობა ყველას მოხრანებისთვის, ეს ჩვენთვის სასიხარულო დღეა, რომლისთვისაც ძალიან ვემზადებოდით.

ძალიან კარგად მახსოვს როგორ იქმნებოდა „დლის ცენტრი“, სწორედ

მაშინ ვინცები მუშაობას დირექტორად. ეს იყო 2000 წლის ოქტომბერში: დ. აღმაშენებლის პროსპექტზე დავიქირავეთ კერძო სახლი, რომელიც მოვანყეთ, შევიძინეთ საჭირო ნივთები... მაშინ პროგრამის ხელმძღვანელი ქ-ნი ალა რუსტანბეგოვა გახლდათ, ძალიან ენერგიული ქალბატონი, რომელიც დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა ამ პროგრამის გახსნას და რისთვისაც მას უღრმესი მადლობა. დღესდღეობით იგი ისრაელში მოღვაწეობს, მისი წამოწყებული საქმე კი თავადაც ხედავთ, თუ როგორ წარმატებულად მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ამის წამომწყებები. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ქ-ნი ალა რუსტანბეგოვა, ბ-ნი ვიქტორ და ქ-ნი ზინა სარუხანოვები. თანდათან ეს პროგრამა უფრო და უფრო ვითარდებოდა, იქნდა მეტ გამოცდილებას, მეტ სამეურვეო პირს...

ეს პროგრამა, მართლაც წარმატებულია, მისი მონაწილეები მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როდესაც ისინი უნდა მოვიდნენ აქ, სადაც მათ დახვედრებათ სიყვარულის, სითბოს, მეგობრებისა და მხარდაჭერის გარემო. მინდა აღვნიშნო, რომ ამ პროგრამაში მოხვედრის კიდევ ბევრი მსურველია, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს მეტის მიღების საშუალება.

ძალიან მოხარულები ვიყავით, როდესაც გადმოვიდით აქ თბილისის ებრაულ სათემო სახლში, სადაც ახალი ცხოვრება დავიწყეთ. თქვენ შეგიძლიათ დაათვალიეროთ და დარწმუნდეთ, თუ რაოდენ ნაყოფიერია მათი



## კაბალა თბილისში

მიხეილ ლაიტმანი (ფილოსოფია PH.D, ბიოკიბერნეტიკა MSC) — საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერ-მკვლევარი კლასიკური კაბალის დარგში, ფილოსოფიის დოქტორი, ონთოლოგიის და შემეცნების თეორიის პროფესორი, კაბალის საერთაშორისო აკადემიისა და ი. აშლოგის სახელობის (RI-SHLOGA ESEARCH INSTITUT) კაბალის კვლევის ინსტიტუტის დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

მ. ლაიტმანი დაიბადა 1946 წელს, ქ. ვიტებსკში (ბელორუსია). ბოლო 30 წელია მეცნიერულად იკვლევს კაბალას. ცხოვრობს ისრაელში.

1978 წელს სამეცნიერო კვლევებმა მ. ლაიტმანი მიიყვანეს უძველესი მეცნიერების — კაბალის შესწავლის აუცილებლობამდე. მ. ლაიტმანი — კაბალაზე დანერგილი 30-ზე მეტი წიგნის ავტორია, რომლებიც არსებითად ყველა ორიგინალი კაბალისტური წყაროს ღრმა და საფუძვლიან კომენტარებს წარმოადგენს. თავის შრომებში მან ფაქტიურად განიხილა ტრადიციული მოსაზრება კაბალაზე, წარმოაჩინა იგი, როგორც ცოდნა, რომელიც აუცილებელია მთელი კაცობრიობისთვის.

დღეს მ. ლაიტმანის მრავალწლიანი კვლევები კაბალისტურ მეცნიერებაში საყოველთაო აღიარებას ჰპოვეს. 2005 წლიდან მ. ლაიტმანი მსოფლიო სიბრძნის საბჭოს წევრია (World Wisdom Council) — ამ საბჭოში შედიან წამყვანი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები თანამედროვე ცივილიზაციის გლობალურ პრობლემებს განიხილავენ. პროფესორი ერვინ ლასლო (იტალია, უნგრეთი), ბუდაპეშტის კლუბის (Club of budapesthi) და მსოფლიო სიბრძნის საბჭოს დამფუძნებელი და პრეზიდენტი (World Wisdom Council): „მაშინ, როდესაც წყდება ამ პლანეტაზე ჩვენი არსებობის საკითხი, კაბალის მეცნიერება კვლავ მნიშვნელოვანი და აქტიური ხდება. კლასიკურ ნაწერებში მოქცეული სიბრძნე გამოყენებული უნდა იქნას ჩვენი პრობლემების გადასაწყვეტად. ეს გზავნილი უნდა გახდეს მისანვდომი ყველასთვის, როგორც ისრაელში, ასევე მთელ მსოფლიოში.“

პროფესორი დანიელ მეტტი (აშშ) — წამყვანი სპეციალისტი კაბალას ფილოსოფიის დარგში: „მიხეილ ლაიტმანი — ეს გახლავთ უნიკალური და გასაოცარი პიროვნება, ნიჭიერი მეცნიერი, რომელმაც შექმნა კაბალის და მეცნიერების დასაბუთებული სინთეზი.“

თბილისის, ზურაბ ჭავჭავაძის 12 ნომერში, ყოფილ შეროზიას ქუჩაზე, კაბალის შემსწავლელი ცენტრი გაიხსნა, სადაც დამწყებთათვის კვირაში 3-ჯერ — სამშაბათს, ხუთშაბათს და კვირას დილის საათებში ტარდება მეცადინეობა. ასევე არის, ასე ვთქვათ, გაძლიერებული ჯგუფი, რომელიც ყოველდღიურად დღის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე სწავლობს.

„მენორა“ გაესაუბრა თბილისის კაბალის ცენტრის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ წევრს ბ-ნ გრიგოლ ჭანტურიძეს მათი სწავლების შესახებ.

— ბ-ნო ვია, რამდენი ხანია, რაც გაიხსნა კაბალის შემსწავლელი ცენტრი და რამ განაპირობა საერთოდ მისი გახსნა?

— კაბალის შემსწავლელი ცენტრი მიმდინარე წლის იანვარში გაიხსნა. რაც შეეხება იმას, თუ რამ განაპირობა — ინტერესმა. თავიდან მოგეხსენებათ, (დასასრული მე-ნ გვერდზე)

### ყოველთვიური საერთაშორისო მიმოხილვა

#### რუბრიკას უძღვება თემურ იაკობაშვილი



ამ ბოლო ხანს მსოფლიო არენაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა განვითარდა, რომელთაგან ჩვენი რეგიონისა და მსოფლიო უსაფრთხოებისთვის ყველაზე საინტერესო გახლავთ ლისაბონში გამართული ნატოს სამიტი, რომელსაც უკვე მისცეს ის-

## ბამარჯვება საერთაშორისო ასპარეზზე

ტორიული შეფასება იმდენად, რამდენადაც ამ სამიტზე განისაზღვრა ნატოს ახალი სტრატეგია, ახალი ხედვა მსოფლიო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ამ სამიტზე გაკეთდა მნიშვნელოვანი განცხადებები ჩვენთვის და რაღა თქმა უნდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ დ. მედვედევის ვიზიტი.

ამ სამიტის ფარგლებში შედგა საქართველოს პრეზიდენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის შეხვედრა. მიმაჩნია, რომ ეს დაძაბული გასული პერიოდი, რომლის კულმინაცია უდავოდ ნატოს სამიტი გახლდათ, ალბათ, თავის მნიშვნელოვან დას დაასვამს მომავალ 5 წელიწადში მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ნატოში შესვლასთან დაკავშირებით საქართველოს თემა გამოეყო უკრაინის თემას, უკრაინამ უარი თქვა ნატოში შესვლაზე, საქართველოს საკითხი კი მაინც, ცალკე დგას. სამ პუნქტში სხვადასხვა ფორმებში არის მოხსენებული საქართველო და ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხი ამ დოკუმენტში აღინიშნა ის, რომ საქართველოს ტერიტორიები გახლავთ ოკუპირებული.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთივე ფორმულირე-

ბა მისცა ევროსაბჭოში საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის არალეგარულ ყოფნას. ანალოგიური ინტერპრეტაცია და როგორც ვხედავთ, ეს ტერმინი — ოკუპაცია — მკვიდრდება სხვადასხვა საერთაშორისო ფორმებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში და ინდივიდუალურ სახელმწიფოებში, რაც თავისთავად, რა თქმა უნდა, არის მნიშვნელოვანი ელემენტი დეოკუპაციისა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, გასული კვირა იყო ძალიან ნაყოფიერი დიპლომატიის თვალსაზრისით, ანუ ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო, ეს გახლდათ ობამასთან შეხვედრა, პრეზიდენტის გამოსვლა ევროსაბჭოს სხდომაზე ნატოს გადაწყვეტილება უზარმაზარი საგარეო პოლიტიკური წარმატებაა საქართველოსთვის ამ მიმართულებით. ამიტომ ვამბობ, რომ არა მხოლოდ მსოფლიოსთვის იქნება განსაზღვრული მომავალი ცვლილებები, არამედ საქართველოსთვისაც. პრინციპში უკვე გამოიკვეთა ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები ამ მიმართულებით და ფაქტია, რომ ჩვენ გაცილებით უფრო უკეთეს მდგომარეობაში ვიმყოფებით დღეს, ვიდრე ეს შეიძლებოდა წარმოგვედგინა რამდენიმე წლის წინათ.

**რედაქციისაგან: ბ-ნი თემურ იაკობაშვილი გაზეთ „მენორაში“ წლების განმავლობაში უძღვებოდა ყოველთვიური საერთაშორისო მიმოხილვის რუბრიკას. მან ჯერ კიდევ მანამ დაიწყო „მენორას“ მრავალწლიანი რუბრიკის მეთაურობა, ვიდრე საქართველოს ვიცე-პრემიერი და სახელმწიფო მინისტრი გახდებოდა. ეს იყო რედაქციის თხოვნით, რადგან თ. იაკობაშვილს მივიჩნევდით და მივიჩნევთ ერთ-ერთ გამორჩეულ ინტელექტუალად ქართულ სინამდვილეში. ამაში ალბათ, თქვენც დარწმუნდით ძვირფასო მკითხველო. ბ-ნი თემური, მიუხედავად მთავრობის წევრისათვის ჩვეული მოუცვლელი მოვალეობისა, პირნათლად ასრულებდა ჩვენს თხოვნას. ეს იმიტომ, რომ მისთვის ძვირფასია ებრაული ღირებულებები.**

**ახლა იგი აშშ-ში მიემგზავრება ფრიად მნიშვნელოვანი მისიის შესასრულებლად — იქნება საქართველოს ელჩი აშშ-ში. გვინდა მადლობა ვუთხრათ მრავალწლიანი თანამშრომლობისათვის და ვუსურვოთ წარმატება ბეატლასა!**

#### (შე-5 გვერდიდან)

ყველაფერი ენთუზიაზმის დონეზე კეთდება. გაჩნდა ინტერესი კაბალის მიმართ, ასეთი ტიპის ცენტრები მთელ მსოფლიოშია. 2 მილიონი ადამიანი, კაბალის საერთაშორისო აკადემიის „ბნეი ბაროხ“-ის სასწავლო პროგრამით სწავლობს. მე მგონი, არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, სადაც ასეთი ცენტრი არ ფუნქციონირებს.

**— ვინ იყო ამ ცენტრის ჩამოყალიბების ინიციატორი?**

— ჩამოყალიბებაზე რა გითხრათ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ყველაფერი ინტერესიდან იწყება, კაბალა თავად, ასე ვთქვათ, გაერთიანების ფილოსოფიაა. სწორედ ამ ინტერესმა შექმნა ეს ცენტრი.

**— რა არის საერთოდ კაბალა, რას შეისწავლის იგი?**

— ძნელია კონკრეტულად კაბალისტურ ენაზე ახსნა თუ რა არის კაბალა, თუმცა, შორეული წარმოდგენა რომ შეექმნას ადამიანს მე ასე ავხსნიდი — ეს არის ალქმის თეორია.

კაბალას პრეტენზია აქვს და მის მიმართ ინტერესი გამოწვეულია იმ კითხვებითაც, რომელიც მისი გაცნობის შემდეგ გეუფლება: რა მართავს ამ სამყაროს? — ეს გახლავთ მთავარი კითხვა და კაბალა გახლავთ იმ ძალების კვლევა, რასაც ჩვენ ამ სამყაროს ვეძახით.

**— რა მეთოდით სწავლობენ კაბალას?**

— სწავლის მეთოდი ყველასათვის ინდივიდუალურია, ანუ დამოკიდებულია იმ ადამიანების მონაცემებზე, ვინც ამ საქმეს ხელი მოკიდა. ზოგადად კი კაბალის შესწავლა საკმაოდ რთული პროცესია. ერთ-ერთი პრობლემა, რომლითაც კაბალისტები ყოველთ-

ვის სწავლობდნენ და დღესაც უცვლელი არის ის, რომ ადამიანი სწავლობს კაბალას თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად, რადგან კაბალა ითხოვს პიროვნებამ იცხოვროს სრულყოფილად, ამიტომ მეცადინეობა სამუშაოდან თავისუფალ საათებში ტარდება: დღით ან საღამოს. რაც შეეხება სწავლების პროცესს — კაბალა თავად გახლავთ მეთოდიკა, სამყაროს სრული შემეცნების მეთოდი. საბოლოო მიზანი კი იმ რეალობის შესწავლაა, რომელიც ამ რეალობას ხატავს, რასაც ჩვენ ვიცნობთ. რელიგია ამას ღმერთს ეძახის, მეცნიერება მუდმივი კვლევის პროცესშია და რაღაც ძალებთან აქვს ყოველთვის საქმე. კაბალა კი, საკუთარი თავიდან გამომდინარე, ამ სამყაროს შეცნობას და ალქმას ემსახურება.

არსებობს დილის გაკვეთილები, ხოლო საღამოს ღონისძიებებს რაც შეეხება, თვითონ ვანყობთ მას. დილის გაკვეთილი ყოველთვის გადმოიცემა ისრაელიდან, KAB-TV-ზე, იგი მიყავს კაბალის საერთაშორისო აკადემიის დამფუძნებელს და პრეზიდენტს მიხეილ ლაიტმანს. გაკვეთილი სამ საათს გრძელდება. დღით ძირითადად მამაკაცები იკრიბებიან, საღამოს კი აი, როგორც ხედავთ, ქალბატონებიც გვესწრებიან.

**— ე.ი. მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე სწავლობენ?**

— დიახ, დილის გაკვეთილებს მხოლოდ მამაკაცები ესწრებიან. კაბალაში ამას თავისი ახსნა აქვს.

**— რა შეიძლება შესძინოს კაბალამ ადამიანს?**

— საერთოდ ვთვლი, რომ დღესდღეობით ადამიანს, რომელიც იღებს ამ ცოდნას, შეუძლია გამოიყენოს, ასე ვთქვათ, მოიხმაროს კიდევ, შეცვალოს თავისი ცხოვრება.

კაბალა განსაკუთრებული მეცნიერებაა, პრაქტიკულად იტევს ყველაფერს თავის თავში, ის დაახლოებით 5500 წლისაა. იმისათვის, რომ ჩვენ სამყარო ბოლომდე შევიცნოთ, უნდა შევისწავლოთ



საკუთარი თავი, ის, თუ რისი შეცნობის უნარი გვაქვს გამომდინარეობს მსგავსების კანონიდან. ყველაფერი იწყება სურვილით და მას ორი თვისება აქვს, იგი შეიძლება იყოს ორიენტირებული საკუთარი თავის ავსებისკენ, რადგანაც ადამიანი დაბადებისთანავე შთანთქმის, მიღების სურვილით არის შეპყრობილი. სწორედ კაბალა გახლავთ ინსტრუქცია იმი-სა, თუ როგორ შეიძლება მიღების, შოვნის სურვილი შეიცვალოს გაცემის სურვილით. მანამ სანამ ადამიანის ვექტორი მხოლოდ თავის თავისკენ არის მიმართული, იგი, შეიძლება ითქვას, შეზღუდულია, ხოლო როდესაც იგი შეცვლის ამ ვექტორის მიმართულებას და მიმართავს მას გარეთ, იგი პრაქტიკულად შეუზღუდავად შეიძლება იმ სამყაროს, რომელშიც ვარსებობთ.

**— რა საფეხურები უნდა გაიაროს ადამიანმა, რათა შეიცნოს ეს ყველაფერი?**

— დიდმა კაბალისტებმა საკუთარი გამოცდილება წიგნების სახით დაგვიტოვეს. რა თქმა უნდა, არის რამდენიმე ეტაპი. პირველი არის მომზადების ეტაპი, ე.ი. მას ჯერ მხოლოდ მიღების სურვილი ამოძრავებს, თუმცა სურს რაღაცის შეცვლა. მეორე ეტაპზე იგი უკვე აგროვებს ინფორმაციას, იღებს მითითებებს. მინდა აღვნიშნო, ეს საკმაოდ საინტერესო პროცესია. შემდგომ ეტაპზე, ასე ვთქვათ, ადამიანი იძენს და უფებს გემოს იმ თვისებებს, რისკენაც ლტოლვა მას ყოველთვის ჰქონდა და ამ ეტაპებს აქვს გაგრძელება...

კაბალა ეს არის ერთიანობის ფილოსოფია, საინტერესო, მომხიბვლელი, ყოვლისმომცველი მეცნიერება.

ლიდია ხომენო





